ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 54-ე მუხლის 1 პუნქტის ,,ბ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენთ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

მუნიციპალიტეტის 2019 წლის 12 თვის შემოსულობებმა შეადგინა 14 879.8 ათასი ლარი, რაც წინა წელთან შედარებით (14 072.5 ათასი ლარი) გაზრდილია 5.7 %-ით. ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები ფინანსური დახმარებებისა და საანგარიშო პერიოდისათვის არსებული ხარჯების დასაფარავად მიმართული ნაშთის 987,9 ათასი ლარის ჩათვლით მათ შორის:

I შემოსავლები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 15 821,2 ათასი ლარი ფაქტიურად 14 879,8 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 94.1 % შეადგინა.

გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში 5 168,3 ათასი ლარი, გეგმის 5021.8 ათასი ლარის 102,9 %-ს შეადგენს.

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 1 983,0 ათასი ლარის შემოსავალი, რაც გეგმის (2 000 ათასი ლარის) 99.0 %- შეადგენს.

გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე 3 185,3 ათასი ლარი, გეგმით განსაზღვრულის 3021,8 ათასი ლარის 105,4 %-ს შედგენს.

II გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 7 457,0 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 8 245.8 ათასი ლარი(90.4%) მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 693.3 ათასი ლარი, სპეციალური 800.0 ათასი ლარი, კაპიტალური ტრანსფერები – 5963.7 ათასი ლარი.

III სხვა შემოსავლები

დაგეგმილი იყო 2 503,6 ათასი ლარი, შემოსულია 2 139,7 ათას ლარი, რაც დაგეგმილის 85,5%-ს შეადგენს.

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 17,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 40,0 ათასი ლარი (42,7%) შეადგენს.

რენტის სახით მობილიზებულია 1 856,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (2 634,2 ათასი ლარი) 70,5 %-ია. მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 1 821,6 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 34,4 ათასი ლარი.

საქონელისა და მომსახურების რეალიზაცია გეგმით განსაზღვრული იყო 80,0 ათასი ლარი, საკასო შესრულების შედეგად მიღებული გვაქვს 162,4 ათასი ლარი.(203.0 %) მ/ შორის:

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულმა 156,3 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე - 144,8 ათასი ლარი, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი 11,5 ათასი ლარი.

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 6,1 ათასი ლარი.

ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 64,7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (60.0 ათასი ლარი) – 106,7%-ს შეადგენს.

ტრანსფერები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული შემოსავლებიდან, საანგარიშო პერიოდში მიღებულია 39,5 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან 39,5 ათასი ლარი,

არაფინანსური აქტივებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 114,8 ათასი ლარის შემოსავალი, მათ შორის: 96,8 ათასი ლარი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვიდან, ხოლო მიწის გაყიდვიდან - 18,0 ათასი ლარი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებები

ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 16 169,8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 15 714,5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97,2 %-ია.

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 9 217,5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 9050,9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98,2 %-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 6910,8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 6 622,1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95,8 %-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 41,5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 41,5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100% -ია.

2019 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით სოციალური და ჯანმრთელობის პროგრამების დაფინანსებისათვის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 819.70 ათასი ლარი, ხარჯმა კი შეადგინა 763.862 ათასი ლარი. რაც გეგმის 93.2 %-ს შეადგენს. ამ ხარჯებიდან ოჯახებისა და ბავშვების სოციალურ დაცვას მოხმარდა 167.100 ათასი ლარი, სამედიცინო

მომსახურების თანადაფინანსებას და მედიკამენტების ღირებულების დაფარვას 311.577 ლარი, იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარებას 6,9 ათასი ლარი, მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიკურ პირობებში მყოფ, უბედური შემთხვევებისა და სხვადასხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებს 153.710 ლარი, საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და დაზარალებულთა ოჯახებს 20 127 ლარი და დაკრძალვის (მარტოხელა) ხარჯს 3500 ლარი.

აღნიშნული თანხები მოხმარდა ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების დაფინანსებას, რომლის ფარგლებში დახმარება გაეწია:

1. მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიკურ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სხვადასხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ 91 ოჯახს, რომელთა დახმარების თანხამ 153.710 ლარი შეადგინა.
2. იძულებით გადაადგილებულ პირთა მომსახურების ასიგნებიდან გაიხარჯა 6,950 ლარი.
3. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახებმა მიიღო 20 127 ათასი ლარის ფულადი დახმარება.

სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება

აღნიშნული მომსახურების თანადაფინასებისათვის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 354 800 ლარი, ხარჯმა კი შეადგინა 311 577 ათას ლარი. საანგარიშო პერიოდში სტაციონარული სამედიცინო მომსახურებითა და მედიკამენტების დაფინანსების დახმარებით ისარგებლა ყველა ასაკის 2100-ზე მეტმა ბენეფიციარმა.

მომსახურება მიიღო:

1. ონკოდაავადებულ 121 მოქალაქეს ბიუჯეტით გათვალისწინებული სტაციონარული სამედიცინო მომსახურების, მედიკამენტების შეძენისა და კვლევებისათვის გაეწია 41 700 ლარის მომსახურება.
2. თირკმლის უკმარისობით დაავადებული პირები, რომლებიც გადიან დიალეზის კურსს 12 ბენეფიციარს ტრანსპორტირების ხარჯების დასაფარავად გადაერიცხა 20 160 ლარი.
3. შშმ პირების სტაციონარულ სამედიცინო მომსახურებაზე და მედიკამენტების შეძენისათვის 140 ბენეფიციარისთვის გაწეული იქნა 20 650 ლარის მომსახურება.
4. მოთხოვნის შესაბამისად დაკმაყოფილდა 0-დან 18 წლამდე ასაკის გულის თანდაყოლილი პათოლოგიით, ცერებრალური დამბლით დაავადებული და

ეპილეფსიით დაავადებულ პირები. ჰემოფილიით დაავადებულმა სამმა ბენეფიციარმა მიიღო 1500 ლარის ფულადი დახმარება.

5. ფენილკეტონურიით დაავადებული ბენეფიციარის დახმარების ხარჯმა შეადგინა 12,000 ლარი.
6. ა(ა)იპ განათლების ცენტრს, რომელიც ემსახურება 6-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირებს, გადაერიცხა 13 000 ლარი.
7. გურიის რეგიონალური ინვალიდთა ასოციაციის შშმ პირთა რეაბილიტაციის ცენტრის მომსახურებით ისარგებლა 11 შშმ პირმა, რომლის მომსახურებისათვის გადაირიცხა 7 800 ლარი.

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა

2019 წლის ბიუჯეტით ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისათვის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 169 655 ლარი, ხარჯი კი შეადგენს 167 100 ათას ლარს, რაც გეგმის 98.7 პროცენტს შეადგენს. ამ მხრივ თანხები მოხმარდა:

1. მრავალშვილიანმა (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვები) 47 ოჯახმა მიიღო 57 62 ათასი ლარის ფულადი დახმარება (რომელთა სარეიტინგო ქულა 150 000-მდე);
2. ახალშობილთა 102 ოჯახმა (რომელთა სარეიტინგო ქულა 0-დან 200 000-მდე) მიიღო 2 400 ლარის ფულადი დახმარება;
3. 0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა ოჯახმა, რომლებიც სარგებლობენ კომუნალური გადასახადით 55 ოჯახს გადაერიცხა 18 810 ლარი (თვეში თითოეულზე 30 ლარი);
4. ყოველთვიურად დახმარებას იღებს დედ-მამით ობოლი სამი ბავშვი (რომელთა ოჯახებს თვეში ერიცხება 200 ლარი) სულ გადაერიცხა 3 ოჯახს 7 200 ლარი;
5. ხანდაზმულმა სამმა მოქალაქემ (100 წლის და მეტი ასაკი) მიიღო ერთჯერადი ფულადი დახმარება 900 ლარი (თითოეულზე 300 ლარი);
6. მარტოხელა მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებისათვის გაიხარჯა 4500 ლარი;
7. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებმა 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით მიიღეს ფულადი დახმარება 1500 ლარი.
8. განსაკუთრებით მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე პირთა ორ ოჯახს გადაერიცხა 4 800 ლარი;
9. პროგრამის ფარგლებში ფულადი დახმარება გაეწია მინდობით აღზრდიდან სრულწლოვნების გამო ამორიცხულ ერთ ბენეფიციარს, რომელსაც საბანკო რეკვიზიტზე დაერიცხა 800 ლარი, აგრეთვე გაწეული იქნა გენდერული თანასწორობის

უზრუნველყოფისათვის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშემწყობი ღონისძიებანი, ამ მხრივ გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 11 400 ლარი. კერძოდ, დახმარება მიიღო ძალადობის მსხვერპლმა 2 ბენეფიციარმა 1300 ლარი, სამმა ბავშვმა სამედიცინო მომსახურებისათვის 400 ლარი, მეწარმე ქალმა 1500 ლარი, როგორც პროექტში გამარჯვებულმა მეწარმემ.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულების საფუძველზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის გამოეყო 3 674,909 ლარი, აღნიშნული თანხით განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები. კერძოდ:

1. სოფელ ერკეთში, ჯვარცხმის უბანში (გ.ბერაძის ეზოს მიმართულებით), სოფელ ხიდისთვში შიდა საუბნო გზაზე ცემენტობეტონის საფარის მოწყობა, ხიდისთავი-ჭაჭიეთის დამაკავშირებელ გზის მეორე მონაკვეთის აღდგენის სამუშაოები თანხით 203,132 ლარი.
2. სოფელ გოგოლესუბანში (მჭედლები სერი), სოფელ შუა ამაღლებაში, სოფელ გუთურში (ძველი სასაფლაოს მიმართულებით) გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია თანხით - 124,936 ლარი.
3. სოფელ ჩომეთსა და კოხნარში სპორტული მოედნების რეაბილიტაცია თანხით -67,297 ლარი.
4. დაბა ჩოხატაურში, მდინარე სუფსაზე საავტომობილო ხიდისა და სარეგულაციო კედლების მოწყობის სამუშაოები თანხით-1,252,825 ლარი.
5. სოფ. დაბლაციხე-საყვავისტყე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია თანხით-317,230 ლარი.
6. სოფ. გუთურის ცენტრალური გზიდან ახალ სასაფლაომდე მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია თანხით -163,690 ლარი.
7. დაბა ჩოხატაურში ნიკო მარის ქუჩის რეაბილიტაცია თანხით -58,644 ლარი.
8. მუსიკალური სასწავლებლის კაპ. შეკეთების სამუშაოები თანხით -277,989 ლარი.
9. სოფ. ქვენობანი-ბასილეთი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია თანხით -571,888 ლარი.
10. საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის შიდასახელმწიფოებრივი გზიდან სოფ.წიფნარის მიმართულებით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია თანხით- 259,208 ლარი.

11. სოფ. ზომლეთში ყოფილი ფერმის ტერიტორიაზე საავტომობილო ხიდის აღდგენის და სოფ. ვანში ოხანეთის უბანში საცალფეხო ხიდის მოწყობის სამუშაოები თანხით -52,838 ლარი.
12. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქუჩებში განათების მოწყობა თანხით -88,424 ლარი.
13. ქვენობნის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ბუკნარში მინი სტადიონის მოწყობა თანხით- 90,302 ლარი.
14. ხიდისთავის ადმინისტრაციული ერთეული, ხიდისთავი-ჭაჭიეთის დამაკავშირებელი გზის პირველი პკ 0+00-პკ 1+50 მონაკვეთის აღდგენის სამუშაოები თანხით-46,174 ლარი.
15. დაბა ჩოხატაურში ნიკო მარის ქუჩიდან ზემო ფარცხმის მიმართულებით სანიაღვრე არხების მოწყობა თანხით -33,527 ლარი.
16. სოფელ შუა ამაღლებაში ხიდთან მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია თანხით -65,803 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N557 განკარგულების საფუძველზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში პროექტების განხორციელებისათვის გამოეყო 190,000 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება იყო 6,136 ლარი, აღნიშნული თანხით განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები. კერძოდ:

1. რუსთაველის ქუჩაზე ახალი სანიაღვრე არხის მოწყობა თანხით -123,889 ლარი.
2. თბილისის, დუმბაძის, კალანდაძის, ყოფილი N2 ჩაის ფაბრიკის მიმდებარედ ქუჩაზე, დოლიძის ,ფიროსმანის და მარის ქუჩის მიმდებარედ ახალი სანიაღვრე არხის მოწყობა თანხით - 70,626 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 8 თებერვლის N208 განკარგულების საფუძველზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში პროექტების განხორციელებისათვის გამოეყო 730,000 ლარი, აღნიშნული თანხით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 100 ინფრასტრუქტურული ობიექტის რეაბილიტაცია-მშენებლობა, რომლის შერჩევაც მოხდა სოფლის საერთო კრებებზე მოსახლეობის უმრავლესობის მიერ.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N554 განკარგულების საფუძველზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების

ფონდიდან „ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით“ პროექტების განხორციელებისათვის გამოეყო 333,902 ლარი, აღნიშნული თანხით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 6 სამედიცინო ამბულატორიის რეაბილიტაცია და 2 ახალი ამბულატორიის მშენებლობა, კერძოდ:

1. სოფელ დაბლაციხის ამბულატორიის რეაბილიტაცია თანხით- 34,124 ლარი.
2. სოფელ ჯვარცხმის ამბულატორიის რეაბილიტაცია თანხით - 33,284 ლარი.
3. დიდი ვანის ამბულატორიის რეაბილიტაცია თანხით - 37,702 ლარი.
4. ნაბეღლავის ამბულატორიის რეაბილიტაცია თანხით -16,357 ლარი.
5. ზემო სურების ამბულატორიის მშენებლობა თანხით - 47,779 ლარი.
6. საჭამიასერის ამბულატორიის რეაბილიტაცია თანხით - 30,333 ლარი.
7. გუთურის ამბულატორიის რეაბილიტაცია თანხით - 39,408 ლარი.
8. სოფელ კოხნარში ახალი ამბულატორიის მშენებლობა თანხით - 87,714 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის N13 განკარგულების საფუძველზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს საჯარო სკოლების სარეაბილიტაციოდ გამოეყო გამოეყო 410,000 ლარი, აღნიშნული თანხით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 11 საჯარო სკოლას, კერძოდ:

1. სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლაში სახურავის და ფასადის და ნიკო მარის სახელობის N1 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია თანხით -151,082 ლარი.
2. სოფელ ჯვარცხმის, კოხნარის, ზემო ფარცხმის, შუა ფარცხმის, ბუკნარის და იანეულის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია თანხით -145,533 ლარი.
3. სოფელ ამაღლების სიკო დოლიძის სახელობის სკოლაში სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია თანხით- 42,062 ლარი.
4. სოფელ ხევის საჯარო სკოლაში დამცავი ეკრანის (შილოვკის) მოწყობა და შიდა ოთახების რეაბილიტაციის და სოფელ წიფნარის საჯარო სკოლაში სარინელის და კედლების რეაბილიტაციის სამუშაოები თანხით 45,325 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 აპრილის N815 განკარგულების საფუძველზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან პროექტების განხორციელებისათვის გამოეყო 78,261 ლარი, აღნიშნული თანხით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 3 ობიექტის რეაბილიტაცია კერძოდ:

1. ნაბეღლავის ადმინისტრაციულ ერთეულში, დამცავი ბეტონის ჯებირის მოწყობა, სიხარულიძის ეზოსთან ბეტონის ქვედა საყრდენი კედლის მოწყობა, ჭალის დასახლებაში

დამცავი ჯებირის მოწყობის სამუშაოები, ნაბეღლავის ადმინისტრაციულ ერთეულში (სოფელ ქვაბღაში) მდ.გუბაზეულის გასწორხაზოვნება და დამცავი კედლის მოწყობის სამუშაოები თანხით -78,260 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 17 ოქტომბრის N2169 განკარგულების საფუძველზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ პროექტების განხორციელებისათვის გამოეყო 350,000 ლარი, აღნიშნული თანხით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მოხდა 15 სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტის რეაბილიტაცია, ზოგი ობიექტის აღდგენის სამუშაოები მიმდინარეობს წლის ბოლოსაც, რომლის სახელშეკრულებლო ვადებიც გადადის 2020 წელში, აღნიშნული ობიექტებია:

1. სოფელ შუა ფარცხმაში დაზიანებული ხიდის და საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები თანხით - 90,859 ლარი.
2. სოფ. საჭამიასერი, სოფელ მამულარაში ჭკუასლების უბანში ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები თანხით -23,241 ლარი.
3. სოფელ ქვენობანში, ავთანდილ ჯაშის ეზოს მიმდებარედ გაბიონის და ხრეშის დამბის მოწყობის სამუშაოების, სოფელ მეწიეთში ელგუჯა კალანდაძის მიმართულებით გზის რეაბილიტაციის და სოფელ ხიდისთავში დათო ვასაძის მიმდებარედ დამცავი კედლის მოწყობის სამუშაოები თანხით - 26,254 ლარი.
4. სოფელ ერკეთში ანზორ ჩანტლაძის მიმდებარედ საბჯენი კედლის მოწყობის სამუშაოები თანხით -20,360 ლარი.
5. სოფელ თავპანტაში გია კალანდაძის ეზოს მიმდებარედ ნაპირსამაგრის და სოფელ თავპანტაში ტარიელ ჩანტლაძის და ჭიხვარიების უბანში გზის და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები თანხით -30,259 ლარი.
6. სოფელ ამაღლებაში დოლიძეების უბანში დაზიანებული გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაციის სამუშაოები თანხით -34,093 ლარი.
7. სოფელ გორაბერეჟოულში მდ.გუბაზეულის მიმდებარედ საყანე ფართობების დასაცავად ხრეშის დამბის მოწყობის სამუშაოები თანხით - 23,087 ლარი.
8. სოფელ ვანში ტარიელ მახარაძის უბანში დაზიანებული გზის რეაბილიტაციის სამუშაოები თანხით - 11,530 ლარი.
9. სოფელ იანეულში სასაფლაოს მიმართულებით გზის რეაბილიტაციის და სოფელ ბუკისციხეში რ.რამიშვილის ეზოს მიმდებარედ კიუვეტისა და საბჯენი კედლის მოწყობის სამუშაოები თანხით -60,116 ლარი.

10. სოფელ გორაში, ე.კიკვაძის ეზოს მიმდებარედ კიუვეტისა და გზის სამოსის მოწყობის სამუშაოები თანხით 19,093 ლარი. (მიმდინარე პროექტი)
11. სოფელი იანეულში, მოედანას უბანში სანიაღვრე არხის და წყალგამტარი მილების მოწყობის სამუშაოები თანხით - 7,466 ლარი.

2019 წელს ინფრასტრუქტურის განყოფილების მიერ მომზადებული იქნა 240 წერილი, მოქალაქეების მიერ შემოსული წერილების პასუხები, სამინისტროსთან, გუბერნიასთან და სხვადსხვა ორგანიზაციებთან გაგზავნილი წერილების ჩათვლით.

ყოველდღიურად, ძირითადად მშენებლობის კუთხით მიმდინარეობს დებულებიდან და სპეციალობიდან გამომდინარე შემოსული განცხადებების შესწავლა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმება. რამდენად დაცულია საპროექტო დოკუმენტაციაში ნორმები. უმეტეს შემთხვევაში მშენებლობებს აწარმოებს კერძო კომპანიები და მოქალაქეები თავიანთ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე. ეტაპობრივად მიმდინარეობს დოკუმენტაციების შემოწმება და გადაგზავნა შესაბამის სამინისტროებთან და დეპარტამენტებთან შესათანხმებლად. მუნიციპალიტეტში დაბისა და ბახმაროს ტერიტორიაზე არის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა და დადგენილი კოეფიციენტები. სამსახური მუშაობს კოეფიციენტების სრული სიზუსტით გამოყენებაზე რათა სწორად იქნას შენობა ნაგებობა განლაგებული მიწის ნაკვეთზე და არ იქნას დარღვეული მესამე პირის უფლებები. მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენს მშენებლობის ნებართვების გაცემა და მშენებლობებზე მონიტორინგი. გამომდინარე აქედან სამსახური ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე აშენებული ან გაცემული დემონტაჟის ნებართვების აღრიცხვას, კერძო ან მუნიციპალურ მშენებლობებს ელექტრონული ბაზის შექმნას და მის მუდმივ არქიტექტურულ იერსახის მონიტორინგს.

მიმდინარე საჭიროებებიდან, კერძოდ მოსახლეობისა და საჯარო ინტერესების გათვალისწინებით სამსახურის მიერ ეტაპობრივად მიმდინარეობს მშენებლობის ნებართვის გასაცემი საჭირო დოკუმენტაციის მომზადება და საქართველოს კანონის და მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად, ასევე სამუშაო წლის შუა პერიოდისათვის დამუშავდა და ძალაში შევიდა N57 დადგენილების ნაცვლად საქართველოს მთავრობის N255 2019 წლის 31 მაისის დადგენილება მშენებლობის ნებართვის გაცემისა და ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ, რითაც ნაწილობრივ შეიცვალა მთელი რიგი სანებართვო სამართლებრივი აქტები. ასევე 3 დეკემბრიდან ეს ცვლილება შეეხო ბახმაროს სარეკრეაციო ტერიტორიას. სამსახურის ფუნქციები მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარება, სივრცით

ტერიტორიულ მოწყობა და არქიტექტორულ ქალაქთმშენებლობის განვითარება, დასახლებათა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმების შემუშავებაა. წინადადებების მომზადება ტერიტორიის კეთილმოწყობის, პარკების, სკვერების, ბულვარების, წყალსატევებისა და გამწვანების ზონების მოწყობის შესახებ. ასევე სამსახურის სპეციალისტები ჩართულია მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილ სხვადასხვა კომისიებში. მიმდინარე წელს სამსახურის მიერ გაწეული იქნა სტიქიის შედეგად 82+18=100 დაზარალებულ ოჯახთა დახმარების, კერძოდ სამშენებლო თუნუქისა და ხის მასალის გადაცემა. ზემოთაღნიშნულ კომისიაში დეფექტური აქტების შედგენაში მონაწილეობა, ობიექტების და კერძო საცხოვრებელი სახლების ნუმერაცია, რომელიც 2017 წლის 1 ოქტომბრიდან კანონმდებლობაში ცვლილების მიხედვით გადაეცა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში, მაგრამ ნომრის მინიჭების პროცესში სამსახურს უწევს თანამშრომლობა რეესტრის წარმომადგენლებთან. ასევე სამსახურს უწევს მუშაობა ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით (№1-1/210 05 აგვისტოს 2013 წელი) ბაკურიანის, ბახმაროს, გუდაურის, ურეკის სარეკრეაციო ტერიტორიებზე, ასევე ქ.ბორჯომის ტერიტორიაზე განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონებში მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესის პირველ და მეორე სტატიაზე სამინისტროში შემოსული არქიტექტორული პროექტების იერ-სახის განხილვის მიზნით შექმნილ კომისიაში წევრის სტატუსით, სადაც სამსახურის უფროსი წარმოადგენს ბახმაროს რეკრეაციულ ტერიტორიის წარმომადგენელს. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 25 თებერვლის №317 განკარგულების -,,ბახმაროს საკურორტო ზონის განვითარებისათვის ზოგიერთ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“ - შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ბახმაროს სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავების მიზნით საპროექტო მომსახურების მომწოდებლის შერჩევის თაობაზე გამოცხადდა კონკურსი. შერჩეულმა საპროექტომ დაიწყო ბახმაროს სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავება. მოხდა მოქმედი მიწათსარგებლობის გეგმის ცვლილება, რაშიც სამსახური აქტიურადაა ჩართული რათა შემდგომში ხელი შეუწყოთ ბახმაროში მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურების გამარტივებასა და მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებას.

2019 წელს სამსახურში შესულია და პასუხი გაეცა რეზოლუციით დაწერილი **1450** ერთეულ წერილობითი განცხადებას, რომლის შემადგელობაშიც შედის საჯარო რეესტრის და ქონების ეროვნული სააგენტოს წერილები მიწის ნაკვეთების დაყოფა გაერთიანების, ასევე კატეგორიის ცვლილებისა და კორექტირების თაობაზე. რაც შეეხება მშენებლობის ნებართვებს 2019 წელს გაიცა **41 მშენებლობის ნებართვა** და **27 შეთანხმება** სხვადასხვა ტიპის მშენებლობებზე

რომლიდანაც მშენებლობის მოსაკრებლის სახით ადგილობრივ ბიუჯეტში შემოვიდა **560-ლარი შეთანხმებებიდან, 132251-ლარი ნებართვებიდან**. სულ მოსაკრებლის ღირებულებამ შეადგინა **132811 (ასოცდათორმეტი ათას რვაასთერთმეტი) ლარი**.

ეკონომიკა და ქონების მართვა

მიმდინარე საჭიროებებიდან, კერძოდ მოსახლეობისა და საჯარო ინტერესების გათვალისწინებით,მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ, სამსახურის მიერ ეტაპობრივად მიმდინარეობდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად მუნიციპალიტეტის საკუთრებას მიკუთვნებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაცია.

2019 წლის განმავლობაში სამსახურის მიერ მიღებულია და პასუხგაცემულია რეზოლუციით დაწერილი სამოქალაქო და სხვადასხვა უწყებებიდან შემოსული წერილობითი კორესპოდენცია.

ქონების მართვის განყოფილებაში 450 ერთეული კორესპოდენცია;

- მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფოსთვის მოთხოვნილია გადმოსაცემად **სულ 56** ობიექტი: აქედან, -5 ერთეული სადემონტაჟო შენობა-ნაგებობა ძირითადი ქონების სახით (ამბულატორიებისთვის);
- სასყიდლიანი აღნაგობით გაცემულია სს „ზოტი ჰიდრო ჰესი“-ზე ჰიდროელექტროსადგურის კასკადების მშენებლობის მიზნით 23 ობიექტი, რითაც მუნიციპალიტეტი ადგილობრივ ბიუჯეტში ყოველწლიურად შემოსავლების სახით მიიღებს 42860 ლარს.
- ასევე, იჯარითაა გაცემული ჯვარცხმისა და ერკეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული 2 ერთეული ობიექტი; ყოველწლიურად ადგილობრივ ბიუჯეტში მობილიზდება 7621 ლარი.
- მიმდინარეობს სახელმწიფოსგან გადმოცემული სადემონტაჟო 5 ერთეული ობიექტის დემონტაჟისათვის საჭირო პროცედურები, რომლის ძირითადი ნაწილი განხორციელდა 2019 წელს.
- ასევე, განხორციელდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2 ერთეული უსახური, საფრთხის შემცველი შენობა-ნაგებობის დემონტაჟი.

პრივატიზების განყოფილებაში - 2019 წელს შემოსულია **803** ერთეული კორესპოდენცია, აქედან- საქართველოს კანონის „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საფუძველზე განყოფილების მიერ მიღებული და პასუხგაცემულია **743** საჯარო რეესტრიდან შემოსული წერილი მიწის ნაკვეთების იდენტურობის დადგენის მიზნით.

მუნიციპალური ქონების პრივატიზებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა **11 250** (თერთმეტიათას ორასორმოცდაათი) ლარი.

საინვესტიციო გარემოს განვითარების განყოფილებამ საანგარიშო პერიოდში განახორციელა შემდეგი სახის საქმიანობები:

გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), შვეიცარიისა და ავსტრიის მთავრობების ფინანსური ხელშეწყობით, ახორციელებს პროექტს - „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში - ფაზა 2“. პროგრამა ხორციელდება გურიის, ქვემო ქართლის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონების მუნიციპალიტეტებისთვის.

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტების მერიებს განახორციელონ მიზნობრივი პროექტები ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისა და ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისათვის. მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების შემთხვევაში წარმოდგენილ პროექტებს სასურველია ასევე წვლილი შეჰქონდეს მაღალმთიანი დასახლებების განვითარებაში.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით ეკონომიკის სამსახურის საინვესტიციო განყოფილების მიერ მომზადდა პროექტი სადაც გათვალისწინებულია ბახმაროს ტურისტული შესაძლებლობები. პროექტის სახელწოდებაა „ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება ბახმაროს ტურისტული პოტენციალის გამოყენების გზით“. პროექტი მოწონებული იქნა დონორების მიერ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება დაფინანსების თაობაზე.

პროექტის მიზანი - კურორტ ბახმაროში კერძო სექტორის შესაძლებლობებისა და ტურისტული მიმზიდველობის გაზრდაა.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია: ცხრაწყაროს ლოკაციაზე გამომავალი წყაროების მოპირკეთდება, სავაჭრო დახლები ჩანაცვლდება ახალი რკინისა და ხის კონსტრუქციებით, ცხრაწყარო-ბახმაროს გზაზე მდებარე ტრადიციულ მოსასვენებელ ლოკაციაზე მოეწყობა საპიკნიკე და სავაჭრო ადგილები, ასევე საზოგადოებრივად აქტიურ ადგილას დაიდგემება ბიო ტუალეტები და მიყვანილი იქნება სასმელი წყალი, დაიბეჭდება და გავრცელდება მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაიობების ამსახველი საინფორმაციო ბუკლეტები.

პროექტის ღირებულებაა 70 000 ლარი აქედან UNDP -ს წვლილ გრანტის სახით 60000 ლარია, ხოლო მუნიციპალიტეტის 10000 ლარი.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საინვესტიციო პოლიტიკისა და ინვესტიციების მხარდაჭერის დეპარტამენტის მიერ მოწონებული იქნა და მათთან ერთად ვმუშაობთ საპროექტო წინადადებაზე, რომელიც ეხება მუნიციპალიტეტში არსებულ ბალნეოლოგიურ და მინერალური წყლების საინვესტიციო შესაძლებლობებზე. ამ კუთხით, არსებული რესურსის ფარგლებში შეგროვდა გარკვეული ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ 4 წყაროს შესახებ: ზოტი-სანისლიას აბანო, შუა ამაღლება-ლაშეს აბანო, ბუკნარში-მინერალურგოგირდოვანი წყლები და სურები- გირგოლის წყარო. ინფორმაცია გადაგზავნილი იქნა ზემო აღნიშნულ დეპარტამენტში.

2019 წლის 24 - 25 ოქტომბერს ქალაქ ქუთაისში პოლონეთის ინვესტიციების და ვაჭრობის სააგენტოს მიერ გაიმართა ტრეინინგი საინვესტიციო შეთავაზებების მომზადებასა და მათი ინვესტორებისთვის წარდგენის თაობაზე. ორ დღიანი ტრეინინგის განმავლობაში გავლილი იქნა ყველა აუცილებელი ასპექტი საინვესტიციო წინადადებების მომზადებისა და ინვესტორებზე წარდგენის შესახებ და შემუშავებული იქნა აუცილებელ კრიტერიუმებად ჩაშლილი საინვესტიციო წინადადებების ამსახველი ფორმა. ტრეინინგის ფარგლებში მოცემული დავალების შესაბამისად, რომელიც გულისხმობდა აღნიშნული კრიტერიუმების და საინვესტიციო წინადადებების ფორმის შესაბამისად წინადადების მომზადებას, შემუშავებული იქნა დაბა ჩოხატაურში მდებარე მიწის ნაკვეთის (ყოფილი ეროვნული გვარდიის ტერიტორია) საინვესტიციო შეთავაზება, რამაც მაღალი შეფასება მიიღო ორგანიზატორების მიერ.

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით და გაეროს განვითრების პროგრამის (UNDP)-ს მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტების აქტიური ჩართულობით მომზადდა (2020-2023) წლების მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტის მომზადებაზე ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის საინვესტიციო განყოფილებამ დაიწყო მუშაობა. მერის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა მერიის სხვადასხვა სამსახურებისა და საკრებულოს თანამშრომლების მიერ, ასევე ჯგუფში შედის კერძო სექტორის, არასამთავრობო სექტორის და მერის მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადდა (2020-2023) წლების მუნიციპალიტეტის ხედვისა და საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი, რომელიც გადაგზავნილია რეკომენდაციებისა და შენიშვნებისთვის.

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოში (ALDA)

2019 წლის 15 მაისს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია დაჯილდოვდა ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის ინტერ მუნიციპალური და ინტერ რეგიონალური პარტნიორობის დიპლომით მუნიციპალიტეტის როლისთვის, როგორც აქტიური პარტნიორი ევროპაში ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებაში და მისი ჩართულობისთვის ALDA - ს ქსელში. დაჯილდოება მოხდა სტრასბურგში კონგრესის პრეზიდენტის ანდერს კნეიპის მიერ. ევროპული ასოციაცია ადგილობრივი დემოკრატიისთვის (ALDA) არის ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს მმართველობის ხელშეწყობასა და მოქალაქეთა ჩართულობაზე ადგილობრივ დონეზე. დეკემბრის თვეში ამ ორგანიზაციის წევრი გახდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი და მისი წევრობა გულისხმობს: იყო პარტნიორი რიგი პროექტებისა ან შეუერთდე კონსორციუმს სხვადასხვა სფეროში, ქონდეს წვდომა ევროკავშირის ექსპერტებთან პროფესიულ ქსელებთან და აკადემიურ ორგანიზაციებთან, მიიღო ინფორმაცია დაფინანსების პროგრამებზე და შესაძლებლობებზე.

მერების შეთანხმება აღმოსავლეთი

2017 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი შეუერთდა ვროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტს მერების შეთანხმება აღმოსავლეთი - CoM East - რომლის ამოცანაა, გაავრცელოს ევროკავშირის კლიმატისა და ენერგეტიკის ინიციატივა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. CoM East-ი მხარს უჭერს ადგილობრივ მმართველობით ორგანოებს განახორციელონ მდგრადი ენერგეტიკული პოლიტიკა, გააუმჯობესონ ენერგომომარაგების უსაფრთხოება, თავიანთი წვლილი შეიტანონ კლიმატის ცვლილების შერბილებისა და შეგუების საკითხში.

ხელმომწერები რომლებიც 2016 წ ოქტომბრის შემდეგ შეუერთდნენ მერების შეთანხმებას - ვალდებულება აიღეს: 2030 წლისათვის C O 2-ის ემისიის მინიმუმ 30%-ით შეამცირება; განახორციელონ კლიმატის ცვლილების რისკების და მოწყვლადობის შეფასება და ადაპტირების საშუალებით აამაღლონ კლიმატის ცვლილების ზემოქმედებისადმი მედეგობა.

მიმდინარე წლის მაისის თვეში ინიციატივის ფარგლებში მუნიციპალიტეტში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა პოლონური დელეგაცია. შეხვედრის შედეგად გადაწყდა მუნიციპალიტეტში საპილოტე პროექტის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს რამდენიმე საჯარო შენობის განახლებადი ენერგიით უზრუნველყოფას. ამ ეტაპზე განხორციელდა სააპლიკაციო ფორმის შევსება სადაც აღწერილია 10-მდე შენობა სამ სხვადასხვა ლოკაციაზე, საიდანაც პოლონური მხარის მიერ საპილოტე პროექტისთვის გამოვლინდება ერთი ლოკაცია.

მუნიციპალიტეტში აღნიშნული ინიციატივის განხორციელებაში ჩართულია პრივატიზაციის

განყოფილების უფროსი და საინვესტიციო განყოფილების სპეციალისტი.

სკოლების ტრანსპორტით უზრუნველყოფის საკითხები

განყოფილებამ განახორციელა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის მომსახურების შესახებ 2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრში ბაზრის კვლევის წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, ახალი პოტენციური მიმწოდებლის გამოსავლენად. მუნიციპალიტეტში არსებული კომპანიები, რომლებსაც გააჩნდათ 601 (ტრანსპორტირება) კოდზე მუშაობის გამოცდილება, მოძიებული იქნა ორი ინდ/მეწარმე. მოხდა მათთვის ინფორმაციის გაცნობა შესაბამისი მარშუტებით, ფასების ცხრილით, სამწუხაროდ მათი მხრიდან არ მოხდა დაინტერესება.

2019 წლის პირველი სემესტრის მდგომარეობით ხელშეკრულება გაფორმდა კონსოლიდირებული ტენდერის საუძველზე CON 190000412 შპს „თაიმსერვისთან" სახელშეკრულებო თანხით 251445.74 ლარი. რაც სრულდება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

2019 წლის მეორე სემესტრში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების მიზნით გაფორმდა სამი ხელშეკრულება თანხით 333442 ლარი.

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულია. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლს, შესრულებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას მერის ბრძანების საფუძველზე ასრულებს საინვესტიციო განყოფილების თანამშრომელი პაატა ბერიშვილი.

სოფლის მეურნეობის საკითხები განყოფილება ყოველთვიურად ამზადებს გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში გადასაგზავნ ინფორმაციას სოფლის მეურნეობის საკითხებზე მონაცემთა ბაზების შესახებ. აღნიშნულ საკითხებზე განყოფილება ინფორმაციას მოიპოვებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩოხატაურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის დახმარებით.

მაღალმთიანი დასახლების საბჭო

მუნიციპალიტეტში 4 დასახლებული პუნქტი, (ქვაბღა, ზოტი ჩხაკაურა, ბახმარო) სარგებლობს მაღალმთიანი დასახლების სტატუსით. მაღალმთიანი დასახლების, მერის სათათბირო ორგანოს საბჭოს თავმჯდომარეა საინვესტიციო განყოფილების უფროსი, ხოლო მდივანი ამავე განყოფილების სპეციალისტი. წლის განმავლობაში ჩატარდა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებთა სტატუსის მინიჭების საბჭოს 12 სხდომა, რის შედეგადაც 52 სტატუსის

მაძიებელს მიეცა დადებითი რეკომენდაცია, ხოლო 9 სტატუსით მოსარგებლეზე მონიტორინგის საფუძველზე გაიცა სტატუსის შეჩერების რეკომენდაცია, ხოლო 23 პირს შეუწყდა მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პირის სტატუსი.

სხვადასხვა შეხვედრებში მონაწილეობა

სავაჭრო სამრეწველო პალატის ორგანიზებით მიმდინარე წლის 10-14 აპრილს გურიის რეგიონის კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლები თურქეთის ქალაქ ერზრუმში "tuyap"-ს საგამოფენო ცენტრში გამართულ გამოფენას დაესწრნენ, სადაც ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილი იქნა თავიანთი ნაწარმი. გამოფენაში მონაწილეობდა ის ფირმები, რომლებიც მუშაობენ სამშენებლო, დიზაინისა და ტექნიკურ სფეროში. ვიზიტის მიზანი იყო გამოცდილების გაზიარება და ახალი კავშირების დამყარება. შეხვედრაში მონაწილეობდა საინვესტიციო განყოფილების უფროსი და ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.

7-8 მაის ქ. ქობულეთში ჩატარდა UNDP- ს მიერ ორგანიზებული ტრენინგი - „ტურიზმი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისთვის". შეხვედრას დაესწრო ეკონომიკის სამსახურის უფროსი, საინვესტიციო განყოფილების უფროსი და სპეციალისტი ეკონომიკის საკითხებში.

22 მაისს **eptisa-**ს (გლობალური კომპანია, რომელიც სპეციალიზირებულია ინჟინერიაში, კონსულტაციაში, საინფორმაციო ტექნოლოგიებში და ინსტიტუციონალურ, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში) ორგანიზებით ქ. თბილისში ჩატარდა მუნიციპალიტეტების საპროექტო პრეზენტაციები წარმატებული ისტორიების შესახებ. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 20-მა მუნიციპალიტეტმა, მათ შორის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა. საინვესტიციო განყოფილების მიერ წარმოდგენილი იქნა მუნიციპალიტეტის შესახებ მოკლე ინფორმაცია და გორაბერეჟოულის დენდროლოგიური ტყე- პარკის აღდგენა რეაბილიტაციის პროექტი.

13-14 ივნის მუნიციპალიტეტის მერი და საინვესტიციო განყოფილების უფროსი მიწვეული იყო ქ. ბოლნისში, ბოლნისის პირველ საერთაშორისო ფორუმზე, რომელიც გაიმართა მერები ეკონომიკური ზრდისთვის პროგრამის ფარგლებში. შეხვედრა იყო კარგი შესაძლებლობა წარმატებული მაგალითების გაზიარების კუთხით.

20-21 ივნის ქ. თბილისში საინვესტიციო განყოფილების უფროსმა მონაწილეობა მიიღო კონფერენციასემინარში - **საჯარო და კერძო თანამშრომლობა საქართველოში.** შეხვედრა ორგანიზებული იყო სსიპ საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოსა და UNDP- (გაეროს განვითარების ფონდის) მიერ. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობის

წარმომადგენლები პრემიერ მინისტრის ხელმძღვანელობით და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია ითვალისწინებდა რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონით და სამსახურის დებულებით მინიჭებულ უფლებამოსილებებს, სახელმწიფო შესყიდვები ხორციელდებოდა მონეტარული ზღვრების სრული დაცვით, კონკურენტუნარიანობის გარემოში, არადისკრიმინალური მიდგომით და რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფით. შესყიდვების სამსახური რეგულარულად აწარმოებდა შესყიდვების განხორციელების კონტროლის ყველა სტადიაზე და რეკომენდაციებს აძლევდა კომისიებს და ინსპექტირების ჯგუფს.

2019 წლის სახელმწიფო შესყიდვები განხორციელდა 2019 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად. წლის დასაწყისში შედგენილი იქნა სახელმწიფო შესყიდვების გეგმა, რომელშიც შევიდა ყველა ის თანხა, რომელიც ექვემდებარებოდა სახელმწიფო შესყიდვას. აღნიშნული თანხები გეგმაში შეტანილი იქნა კოდების მიხედვით და მონეტარული ზღვრების სრული დაცვით. წლის განმავლობაში არ ყოფილა მონეტრარული ზღვრების დარღვევისთვის ან ხელოვნური დაყოფის არცერთი შემთხვევა. მერის ბრძანების საფუძველზე რეგულარულად ხდებოდა სახელმწიფო შესყიდვების გეგმის კორექტირება კანონის შესაბამისად.

2019 წელში ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა 870413,92 (რვაასსამოცდაათიათას ოთხასცამეტი ლარი და 92 თეთრი) ლარის შესყიდვა, სახელმწიფო ბიუჯეტით - 6634905,64 (ექვსიმილიონ ექვსასოცდათოტხმეტიათასცხრაასხუთი ლარი და 64 თეთრი) ლარის.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N554 განკარგულებით (ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ) ბოლო დაზუსტებით გამოყოფილი იყო - 329883 ლარი, გაფორმდა 9 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 აპრილის N815 განკარგულებით (მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ) გამოყოფილი თანხაა - 78261 ლარი. აღნიშნული განკარგულებით გაფორმდა - 1 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებით (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს ბოლო

დაზუსტებით გამოეყო - 3660529 ლარი, აღნიშნული განკარგულებით გაფორმდა 16 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 24 აპრილის N942 განკარგულებით (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ - წინა წლების განკარგულებების დარჩენილი თანხა) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 19783 ლარი, აღნიშნული განკარგულებით გაფორმდა 1 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის N13 განკარგულებით (ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს სკოლების რეაბილიტაციასა და საპროექტო დოკუმენტაციის დამზადებაზე გამოეყო - 410000 ლარი, რომელზეც გაფორმდა - 7 ხელშეკრულება, ხოლო მოსწავლეთა გადაყვანაზე - ტრანსპორტირებაზე - 577960,79 ლარი, რაზეც გაფორმდა 4 ხელშეკრულება. აღნიშნული განკარგულებით ჯამში გამოყოფილ 987960,79 ლარზე გაფორმდა - 11 ხელშეკრულება .

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის N45 განკარგულებით (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 730000 ლარი, აღნიშნული განკარგულებით გაფორმდა 49 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 ოქტომბრის N2169 განკარგულებით (სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 350000 ლარი, აღნიშნული განკარგულებით გაფორმდა 11 ხელშეკრულება.

2017 წლის 27 დეკემბრის N2712 განკარგულებით (სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების შესახებ) 2019 წელში გადმოსული ნაშთი შეადგენდა 271578 ლარს, აღნიშნული განკარგულებით გასულ წელს გაფორმდა 6 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N557 განკარგულებით (სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 188381 ლარი, აღნიშნული განკარგულებით გაფორმდა 2 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 6 ივნისის N1308 განკარგულებით (სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 225000 ლარი, აღნიშნული განკარგულებით გაფორმდა 3 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 აგვისტოს N1922 განკარგულებით (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 24650 ლარი, აღნიშნული განკარგულებით გაფორმდა 2 ხელშეკრულება.

სულ გაფორმებული იქნა 263 ხელშეკრულება, გამარტივებული შესყიდვით 192 ხელშეკრულება, მათ შორის კონსოლიდირებული ტენდერით - 21 შესყიდვა, ელექტრონული ტენდერით - 71,

სულ ჩატარებული იქნა 82 ელექტრონული ტენდერი, მათ შორის: არ შედგა 7, უარყოფითი შედეგით დასრულდა - 1, შეწყვეტილი იქნა - 3 ელექტრონული ტენდერი.

ტენდერში მონაწილეთა საშუალო რაოდენობამ შეადგინა 1,66 მონაწილე.

ელექტრონული ტენდერებით შესყიდვების განხორციელებას ახორციელებდა მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი სატენდერო კომისია 5 კაცის შემადგენლობით და სატენდერო კომისიის აპარატი - 4 კაცის შემადგენლობით, სულ ჩატარებულია კომისიის 202 სხდომა.

სააგენტოსთვის საჩივრით არ მიუმართავს არცერთ პრეტენდენტს. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები იყო სამართლიანი და არადისკრიმინაციული.

ხელშეკრულების პირობების შესრულებას და მიღება-ჩაბარების აქტების შედგენას ახდენდა მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი 5 კაცის შემადგენლობით. დღეის მდგომარეობით დასრულებულია ყველა ხელშეკრულება.

2019 წელში გაფორმებულ ხელშეკრულებებზე 13 მიმწოდებელს დაერიცხა პირგასამტეხლო, საერთო რაოდენობით - 31241,61 (ოცდათერთმეტიათას ორასორმოცდაერთი ლარი და 61 თეთრი) ლარი.

შესრულებულ სამუშაოებზე მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად არის შესრულებულ სამუშაოებზე აკრედიტირებული ან სამხარაულის ექსპერტების დასკვნები. შესრულებული სამუშაოების ხარისხი არის დამაკმაყოფილებელი. ინსპექტირების ჯგუფი ადგილზე გასვლით საზედამხედველო ორგანიზაციასთან ერთად ახორციელებდა ობიექტების ინსპექტირებას.

ზედამხედველობის სამსახური მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პერიოდულად აწარმოებს მონიტორინგს და ადგილზე კონტროლდება მშენებლობის სანებართვო პირობების დარღვევა,

იერსახისა და გარე ვაჭრობის კონტროლი. ზედამხედველობის განყოფილების სპეციალისტები მონაწილეობას ღებულობენ მუნიციპალიტეტში შექმნილ სხვადასხვა მუდმივმოქმედ კომისიებში, ინფრასტრუქტურული ობიექტების ინსპექტირებაში. მოთხოვნების შესაბამისად გაცემულია მითითებები და შემოწმების აქტები, 2019 წელს გაცემულია 13 - მითითება, აქედან კურორტ ბახმაროში 10 - მითითებაზე გამოიცა ბრძანება დაჯარიმება - დემონტაჟის შესახებ, ხოლო - 3 დაბაში. ამასთანავე ბახმაროში აღმოჩენილი იქნა - 15 უკანონო მშენებლობა, რომელთა მესაკუთრის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა და კანონის შესაბამისად გამოიცა დემონტაჟის ბრძანება, რომელიც აღსრულებისთვის გადაეცა ა(ა)იპ ბახმაროს.

გაფრთხილებული იქნა საქართველოს წყალმომარაგების კომპანია რათა აღადგინოს და პირვანდელ მდგომარეობაში მოიყვანოს სამუშაოების შედეგად დაზიანებული ასფალტობეტონის საფარიანი გზის მონაკვეთები. დასუფთავების წესების დარღვევებთან დაკავშირებით გაფრთხილებული იქნა საწარმოო დაწესებულებებისა და კერძო სავაჭრო ობიექტის მფლობელები, დროულად გააფორმონ ხელშეკრულებები ნარჩენების გატანასთან დაკავშირებით დასუფთავების სამსახურთან. ასევე მიმდინარე წლიდან დაიწყო ფიზიკური პირების ინფორმირება დასუფთავების მოსაკრებელთან დაკავშირებით (ერთი სულ მოსახლეზე 0.25 თეთრი).

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქვენობნის ადმინისტრაციულ ერთეულში გამოვლენილი იქნა სახელმწიფო მიწის უკანონოდ დაკავების ფაქტი, რაზეც სამართალდამრღვევს მიეცა ვადა თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის განთავისუფლებასთან დაკავშირებით.

ზედამხედველობის სამსახური ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხმელი, საფრთხის შემცველი ხე მცენარეების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით კონტროლს. გაიცა რამდენიმე ხის ლიკვიდაციისა და გადაბელვის ნებართვა, რომელიც გადაეცა აღსრულებისთვის ა(ა)იპ „სხივს“.

სამსახურის მიერ ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობებზე ზედამხედველობა და დასრულებული მშენებლობების ექსპლუატაციაში მიღება.

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლი“-ს შესახებ 24-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, **შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის** 2019 წლის საქმიანობა მოიცავდა:

1. ინფორმაციას განხორციელებული შიდა აუდიტორული შემოწმებების შესახებ.
2. ძირითად დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

3. შიდა აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად შიდა აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული ქმედებებსა და ინფორმაციას.
4. ინფორმაციას შიდა აუდიტის მიმდინარეობისას ნებისმიერი შეზღუდვის შესახებ.
5. წინადადებებს შიდა აუდიტის განვითარების შესახებ.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნით დამტკიცებული 3 წლიანი სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ შედგენილი და ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული 2019 წლის გეგმით, სამსახურის მიერ განხორციელდა 4 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა და ერთი შპს შემოწმება.

შემოწმებული იქნა:

1. ,,არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი“;
2. ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლების გაერთიანება;
3. ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი;
4. ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალი“;
5. ა(ა)იპ კომუნალური სამსახური „სხივი“;
6. შპს „ჩოხატაურის აგრარული ბაზარი“.

გაიცა ზოგადი და კონკრეტული ხასიათის რეკომენდაციები.

- ორგანიზაციებმა მუნიციპალიტეტს წარუდგინონ ყოველი წლის დასაწყისში, განსახორციელებელ ღონისძიებათა სრული ნუსხა თითოეული ღონისძიების დასაბუთებული მიზნების და გაანგარიშებული ხარჯვითი ნაწილით.
- დირექციებმა ღონისძიების ჩატარების მიზნით გამოცემულ ბრძანებაში, მიუთითოს ღონისძიების ხარჯვითი დოკუმენტაციის თავისდროულ და რაციონალურ ხარჯვაზე პასუხისმგებელი პირი. ასევე დაავალოს მისდამი დაქვემდებარებულ შესაბამის თანამშრომელს აღნიშნული დოკუმენტაციის თითოეული ღონისძიების მიხედვით რეესტრის წარმოება.
- განახორციელონ ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას და მათ შედარებას ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან. შედეგად, შესაძლებელი იქნება ინვენტარიზაციის შედეგების (მეტობა ან დანაკლისი) დადგენა და შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების გამოვლენა, რაც გაზრდის ცენტრის აქტივების დაცულობის ხარისხს.

- ზოგ შემთხვევაში სუსტი კონტროლის მექანიზმების გამო ადგილი აქვს მომსახურების ან საქონლის მიღებამდე თანხების ავანსად ჩარიცხვას. არ ხდება შესყიდვების გეგმის ხარჯთაღრიცხვასთან თანხვედრა, რაც იწვევს შესყიდვების გეგმის გაუთვალისწინებლობას. ვერ ხდება შესასყიდი საქონლისა და მომსახურების რეალისტური დაგეგმვა და შემდგომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების ოდენობის კონტროლი. არ ხდება მიღება ჩაბარების აქტის თავისდროულად და სრულყოფილად შედგენა.
- შესყიდვების პროცესის სრულყოფილად წარმართვის მიზნით დაინერგოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმები.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო კანცელარიიდან, საქართველოს პარლამენტიდან, სხვადასხვა სამინისტროებიდან, დეპარტამენტებიდან, გურიის სამხარეო ადმინისტრაციიდან, მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ არსებული დაწესებულებებიდან, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ორგანიზაციებიდან შემოსულია სულ 9 476 კორესპონდენცია;

- შეიქმნა და გაიგზავნა -5667 წერილი;
- რეგისტრაციაში გატარდა მერის ბრძანებები -2067;
- მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების შესახებ შემოსულია 30 განცხადება (მიენიჭა სტატუსი - 29 პირს, გაიცა ცნობა -32 პირზე);
- რეგისტრირებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილი 109 ბრძანება.
- ბრძანება -109;
- განკარგულება -861;
- დადგენილება -12;
- შეიქმნა და გაიგზავნა 383 კორესპონდენცია.
- მოქალაქეების მოთხოვნის შესაბამისად განხორციელდა 1690 მოქალაქის მიღება მუნიციპალიტეტის მერის მიერ.
- წლის განმავლობაში მომზადდა და საკრებულოს სხდომაზე გატანილი იქნა 5 დადგენილების პროექტი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ სხვადასხვა საკითხებზე;
- სამართლებრივი დასკვნები მომზადდა მერიის სტრუქტურული ერთეულების მიერ საკრებულოში შეტანილ ყველა სამართლებრივი აქტის პროექტზე;
- ვიზირება გაუკეთდა მუნიციპალიტეტის მერის 2067 ბრძანებას;
- განხორციელდა მერიის კანონიერი ინტერესების დაცვა სასამართლოში ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებზე მიმდინარე სამართალწარმოების

პროცესში, 15 საქმეზე (ძირითადა სასამართლო პროცესები ეხებოდა აღიარების კომისიაში შემოსულ საქმეებს).

2020 წლიდან მოხდება არსებული საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის ,,eDocument”-ის ჩანაცვლება ახალი პროგრამით, რომლის მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო 2019 წლის სექტემბერში და რომლის ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს ანალიტიკური განყოფილება.

2019 წელში მუნიციპალიტეტის მერიამ შეიძინა დასუფთავების მოსაკრებლის პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტი, მომზადდა დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია და განისაზღვრა მოსაკრებლის ოდენობა, შექმნა მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზა, რომლის საშუალებითაც მოქალაქეებს ეგზავნებათ მოკლე ტექსტური შეტყობინებები დასუფთავების მოსაკრებლის გადახდასთან დაკავშირებით. პროგრამის ტექნიკურ მხარდაჭერას ახორციელებს ანალიტიკური განყოფილება.

პერიოდულად მიმდინარეობს მერიის სტრუქტურული ერთეულებისთვის, მერის წარმომადგენლებისთვის, მერიის სხვა საჯარო მოხელეებისთვის, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირებისთვის სამართლებრივი დახმარების გაწევა და იურიდიული კონსულტირება.

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს მოთხოვნებიდან გამომდინარე მერიაში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირად დადგენილია ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი. საჯარო ინფორმაციის გაცემის კუთხით მდგომარეობა ასეთია: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში საანგარიშო პერიოდში შემოსულია საჯარო ინფორმაციის გაცემის 24 მოთხოვნა. ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ არ მიღებულა.

საანგარიშო პერიოდში, მუნიციპალიტეტის მერიამ, განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ჩართულობით 141 კულტურულ-სპორტული ღონისძიებების ჩატარებას გაუწია კოორდინირება, აქედან 116 აქტივობა იყო ახალგაზრდული, საგანმანათლებლო და შემეცნებითი, ხოლო 25 - სპორტულ-გამაჯანსაღებელი მიმართულების.

პროექტის - „გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისთვის ფარგლებში, დაფინანსდა 9 პროექტი, შეიქმნა კლიპი და დაიბეჭდა საიმიჯო წიგნი.